საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1449-03
06/08/2021

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სამაგისტრო საფეხურზე 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციისთვის დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის, წარმოდგენის ფორმატის და საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღების დამტკიცების შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანნის 2021 წლის 4 აგვისტოს N 1445-03 ბრძანებაში ცვლილების და დამატების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების 26-ე მუხლის მე-3 მუხლის საფუძველზე, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის დიმიტრი ჯაფარიძის 2021 წლის 4 აგვისტოს N 1445-03 ბრძანების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილება **„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სამაგისტრო საფეხურზე 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციისთვის დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის, წარმოდგენის ფორმატის და საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღების დამტკიცების შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანნის 2021 წლის 4 აგვისტოს N 1445-03 ბრძანებაში,** კერძოდ ბრძანების მერვე პუნქტში დაემატოს საგამოცდო თარიღები: სამაგისტრო პროგრამაზე - „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი“ მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის (ქეისის განხილვა და მისი გადაწყვეტა და გასაუბრება) პერიოდად განისაზღვროს 2021 წლის 3, 4 და 5 სექტემბერი;
2. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს.

დიმიტრი ჯაფარიძე

დეკანი